პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის —— ივლისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. N39/47- ვაჟა ფშაველას ქ. N52 მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ ჯაყელის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ჯემალ ჯაყელის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. N39/47- ვაჟა ფშაველას ქ. N52 მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. N39/47- ვაჟა ფშაველას ქ. N52-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ ჯაყელის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

მწერალმა და პუბლიცისტმა, ჯემალ ჯაყელმა დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფილოლოგიის სპეციალობით; მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ, აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად, გამომცემლობა "აჭარის" დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს 3 მოწვევის დეპუტატი, აჭარის პარლამენტის სენატორი. ავტორია წიგნებისა: "სიჭაბუკე" (1957), "ჩანჩქერები" (1962), "აღმართი მარადიული მშვენიერებისა" (1971), "ლექსები" (1973), "სფინქსი სიბრძნისა" (1977), "რჩეული" (1978), "ნიმფა" (1981), "მზისა და წვიმის სერენადა" (1988), მობრძანდება, ადამ" (1990), "სამტომეული" (1994), "რჩეული" (1997), "მუჰაჯირი" (1997), "თუ იგრძნო წამი" (1998), "ერთტომეული" (2003), "მაცდუნე, ევა" (2011) და სხვ.

იყო კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მიღებული აქვს ფრიტიოფ ნანსენის სახელობის მშვიდობის საერთაშორისო პრემია, მემედ აბაშიძის სახელობის პრემია, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია, ტბელ აბუსერისძის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ჯემალ ჯაყელის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. N39/47- ვაჟა ფშაველას ქ. N52-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მერია

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**